

ქალაქი ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №45

2014 წლის 10 ოქტომბერი

ქ. ქუთაისი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ე“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობები 2015 წლის 1 იანვრიდან დანართის შესაბამისად.

/დანართი დადგენილებას თან ერთვის/

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს 2015 წლის 1 იანვრიდან „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 ივლისის №20 დადგენილება /სსმ matsne@justice.gov.ge 16.07.2014. 190020020.35.123.016230/.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს 2014 წლის 10 ოქტომბრიდან.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

დავით დვალი

დანართი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობის შესახებ

№	თანამდებობის დასახელება	თანამდებობრივი განაკვეთი ლარებში
	მთავარი საჯარო თანამდებობა	
1.	ქალაქ ქუთაისის მერი	2750
2.	მერის პირველი მოადგილე	2100
3.	მერის მოადგილე	2050
	წამყვანი საჯარო თანამდებობა	
4.	სამსახურის უფროსი	1700
5.	სამსახურის უფროსის მოადგილე	1250
6.	მერის მრჩეველი	1200
	უფროსი საჯარო თანამდებობა	
7.	განყოფილების უფროსი	1000



8.	მერის თანაშემწე	900
9.	ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელი	950
10.	მთავარი სპეციალისტი	700
	უმცროსი საჯარო თანამდებობა	
11.	წამყვანი სპეციალისტი	650
12.	უფროსი სპეციალისტი	600
13.	სპეციალისტი	550

